უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №23

თბილისი 6.11.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაკა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი;
ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ნანა შარიქაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
თამარ იოსელიანი - სსიპ - საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
ნოდარ შურღაია - შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი გიორგიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
სოფიო ვასაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:
თეონა ხუფენია - რექტორი;
ქეთევან ლატარია - საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი;
თამრიკო ლუკავა - კარიერის განვითარების ცენტრის უფროსი;
ქეთევან ლომაია - პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნათია ჩიტაშვილი;
ლევან ცაგარელი;
სალომე ძაგნიძე;
მურთაზ კვირკვაია.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ციური დურული;
ნია გუგუნავა.

სხვა დამსწრე პირები:

თეა ლილუაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
შორენა ხუბუნაია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
ნანა როსტომაშვილი - „კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაცია".

საბჭოს სხდომა დაიწყო 18:30 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომით დღის წესრიგი:

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილ არ იქნა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე Skype-ის საშუალებით წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მილან პოლმა. საბჭოს წინაშე რეკომენდაციები ასევე დეტალურად წარადგინეს ადგილობრივმა ექსპერტებმაც:

1.2. სტრატეგიული განვითარება:

• სამწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების ეფექტური მონიტორინგის მიზნით, 3 წლიანი სამოქმედო გეგმის დოკუმენტში განცალკევებით უნდა გამოიყოს ყველა კონკრეტული ამოცანის და აქტივობის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსები.

2.1. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა:

• გადაფარვის თავიდან ასაცილებლად მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ადმინისტრაციული ორგანოების ფუნქციები, განსაკუთრებით ხარისხის უზრუნველყოფასა და საერთაშორისო ურთიერთობებს შორის, ისევე, როგორც ხარისხის უზრუნველყოფასა და შიდა აუდიტს, ასევე, სასწავლო პროცესის მენეჯმენტს, სტუდენტთა მომსახურებასა და უწყვეტ განათლებას შორის;

• დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელების არსებობა ფაკულტეტების დონეზე;

• დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საგამოცდო ნაშრომების სამი წლის განმავლობაში შენახვა.

2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები:

• დაწესებულებამ უნდა გააუმჯობესოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები პროფესიონალი პერსონალის (უმჯობესია აკადემიური ხარისხის მქონე სოციალურ ან განათლების დარგებში, ან შესაბამისი გამოცდილებით სოციოლოგიურ კვლევაში) დაქირავებით/დასაქმებით, რომელიც დაკავდება უსდ-ს საქმიანობისა და აქტივობების უწყვეტი მონიტორინგითა და შეფასებით.

• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვები უნდა იყოს უფრო კონკრეტული, ფოკუსირებული უნივერსიტეტის პრობლემებსა და გამოწვევებზე და უნდა მოიცავდეს უფრო ზუსტ რეკომენდაციებს განათლების ხარისხის და ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საქმიანობის გაუმჯობესებაზე.

3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება:
მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება მოხდეს გამოყენებით სფეროებში, რომლებიც მიმართული იქნება რეგიონის ამჟამინდელ მოთხოვნებზე.

3.2. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი:
• მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა წაახალისოს მისი პედაგოგები შეფასების იმგვარი კომპონენტების შემოღებაში (წერითი ამოცანები, ესეები და სხვ.), რაც გახდის გარდაუვალს პლაგიატის გამოვლენის ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენებას.
• სამაგისტრო დონეზე დაწესებულებამ უნდა შეიტანოს კურსები კვლევის მეთოდებზე მაგისტრანტების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების დამაჯერებლობის უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტმა, ასევე, მის პედაგოგიურ პერსონალს უნდა მისცეს უახლესი კვლევის შედეგების გაცნობის შესაძლებლობა.
• დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სწავლებასა და კვლევაში უახლესი მონაცემების გამოყენება მისი პედაგოგების წახალისებით, რათა ისარგებლონ ბოლო დროს გამოცემული სამეცნიერო პუბლიკაციებით, რომლებიც ხელმისაწვდომია ინტერნეტში არსებულ მონაცემთა ბაზებში.

3.3. სწავლის შედეგების შეფასება:
• საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემის შემუშავებისას დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სფეროს სპეციფიკა (კომპონენტები, კრიტერიუმები და ა.შ.);
• დაწესებულებას უნდა ჰქონდეს შეფასების გასაჩივრების სისტემა;
• დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ შეფასების სისტემა გამოყენებულ იქნება სტუდენტებისათვის უკუკავშირის მიწოდებით მათ მიერ მიღწეულ მიზნებზე, ნაკლოვანებებსა და გაუმჯობესების გზებზე.

4.1. უსდ-ის პერსონალი
• გასაუმჯობესებელია ინგლისური ენის ცოდნა მოქმედ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალში ეტაპობრივი სასწავლო კურსების მიწოდებით უწყვეტ რეჟიმში;
• დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ინგლისური ენის ცოდნა ახალი პერსონალის რეკრუტირებისას (როგორც ადმინისტრაციულის, ისე აკადემიურის);
• დაწესებულებამ უნდა გააუმჯობესოს კვლევის უნარების განვითარების მექანიზმები, სტუდენტთა კვლევის ხელმძღვანელობის უნარები და მეთოდოლოგია, პერსონალის დახმარება პროფესიული განვითარების საქმეში მდგრადი და რეგულარული ტრენინგების მეშვეობით, განსაკუთრებით თანამედროვე სასწავლო მეთოდოლოგიებისა და უცხო ენის ფლობის კუთხით.
• დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტრუქტურულ ერთეულებში დასასაქმებლად არჩევნების პროცედურების გამჭვირვალობა.

4.2. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა:
• აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა შესაძლოა გახდეს პროფესორის დატვირთვაში კვლევითი კომპონენტის გაუმჯობესების მექანიზმი;
• დაწესებულებამ სათანადოდ უნდა წარმართოს დატვირთვების განაწილების მოქნილობის პოლიტიკა, რათა დაეხმაროს ახალგაზრდა მკვლევარებს, რომელთაც სურთ მოიპოვონ კვლევითი სტიპენდიები და კვლევითი პროექტები საზღვარგარეთ;
• დაწესებულებამ უნდა შეამციროს მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაო, რათა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის როლი და პასუხისმგებლობა. ეს შეიძლება იყოს

მიზანშეწონილი უნივერსიტეტში არსებული და რაციონალური შესაძლებლობების გაფართოვებით მისი ტერიტორიული და გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები:

• დეტალურად უნდა აისახოს სტუდენტთა კმაყოფილების და სხვა გამოკითხვები, აქცენტით პრობლემურ საკითხებზე და შემუშავებულ უნდა იქნეს ოფიციალური პროცედურები:
- გამოკითხვების ჩასატარებლად;
- ასახეთ გამოხმაურებაში (მაგ. პრობლემური სფეროების მოგვარება, შეამცირეთ სტუდენტთა რაოდენობა, რომელთაც არა აქვთ გაცნობიერებული აპელაციის პროცედურები);
- იდენტიფიცირებულ გამოწვევებზე რეაგირების საკითხი აცნობეთ სტუდენტებს (რათა გაიზარდოს მათი კმაყოფილება და იგრძნონ თავი ღირებულად).

5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები:

• მოხერხებულობის გამო, დაწესებულებამ უნდა ჩამოაყალიბოს სტუდენტური მომსახურების ცენტრი ან სტუდენტთა საკონსულტაციო ცენტრი, რათა მოხდეს სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების აკუმულირება ერთ სივრცეში და თავიდან ავიცილოთ დაბნეულობა, ისევე, როგორც ფუნქციების გადაფარვა სამსახურების მიერ.
• რეკომენდებულია, რომ პერსონალის რაოდენობის გაზრდა საკარიერო განვითარების ცენტრში მისი ფუნქციების გათვალისწინებით. მხოლოდ ერთი ადამიანი ვერ შეძლებს ყველა საქმისა და ვალდებულების ეფექტიანად წარმართვას.

6.1. კვლევითი საქმიანობა:

• დაწესებულებამ აქტიურად უნდა გამოიყენოს საუკეთესო გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა კვლევით თანამშრომლობაში ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.
• დაწესებულებამ უნდა მოახდინოს კვლევითი აქტივობების სტიმულირება კვლევების ფინანსირების გაზრდით და შესაბამისი საგრანტო პროექტების მოზიდვით, კვლევითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, კვლევითი მასალების დონის ამაღლება, სპეციფიურ კვლევით მიმართულებებზე ორიენტირებული სამეცნიერო სტიპენდიების რაოდენობის გაზრდა.
• დაწესებულებამ უნდა მოიზიდოს ახალგაზრდა მკვლევარები და დაავალოს მათ პრიორიტეტული სამეცნიერო კვლევები, რათა უზრუნველყოთ გრძელვადიანი განვითარება.
• დაწესებულებამ უნდა გააუმჯობესოს აკადემიური პერსონალის მიერ კვლევების ხელმძღვანელობის უნარები.

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია:

• დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ კვლევებზე გამოყოფილი ფინანსები იყოს კვლევითი სფეროს პრიორიტეტული მიმართულებების ადეკვატური, მათ შორის იზიდავდეს ახალგაზრდა მკვლევარებსა და ახალ აკადემიურ პერსონალს.
• დაწესებულებამ უნდა გააღრმავოს და განავითაროს ახალი ინსტიტუციური თანამშრომლობა სამეცნიერო ცენტრებთან, მოიძიოს საგრანტო შესაძლებლობები გარე დაფინანსების მოსაპოვებლად.
• უნდა გაზარდოს და გააფართოვდეს კვლევითი აქტივობები, მოამზადოს აკადემიური პერსონალი კვლევით უნარებში და თანამედროვე კვლევით მეთოდოლოგიაში უწყვეტ და სისტემატურ საფუძველზე.

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება:

• დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ახლად შექმნილი კვლევის შეფასების მექანიზმების სრულყოფილად განხორციელება და კრიტერიუმების სათანადო გავრცელება აკადემიურ პერსონალში.

• დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს კვლევების დახმარება და მენეჯმენტი, კვლევების შეფასების სწორად გადანაწილება მეცნიერული კვლევისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს შორის.

• დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს კვლევის შეფასების სისტემა სამომავლო სამეცნიერო საჭიროებების, კვლევითი პრიორიტეტების და გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირებისათვის.

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

• ბიბლიოთეკა უნდა იყოს უკეთ მომზადებული უცხოური, ისევე, როგორც ქართული სამეცნიერო ლიტერატურის კუთხით, რათა მოემსახუროს მკვლევარებს, სტუდენტებსა და პერსონალს, დაეხმაროს კვლევისა და სწავლების ინტეგრაციას და ზოგადად კვლევების ინტერნაციონალიზაციას.

• ელექტრონული ბიბლიოთეკა უნდა იქნეს გამოყენებული უფრო ინტენსიურად და ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია უნდა აძლიერებდეს სარეკლამო შესაძლებლობებს და აწარმოებდეს სამეცნიერო მონაცემთა ბაზებითა და ელ-ბიბლიოთეკის რესურსებით სარგებლობაზე უწყვეტ მონიტორინგს.

7.4. ფინანსური რესურსები

• უნდა გაიზარდოს კვლევების დახმარებაზე ფინანსური რესურსების გამოყოფა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების აკადემიური პერსონალის კვლევითი აქტივობისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის საკითხით. მისი განცხადებით, დაწესებულების კვლევითი აქტივობა შეფასებული იყო, როგორც მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტთან მაშინ, როდესაც დასკვნაში ექსპერტთა მიერ დაწესებულების გამოწვევად აღნიშნული იყო საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა და მათი გამოყენება, აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენცია და ინტერნაციონალიზაცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებაში არსებობს სურვილი და მზაობა, რომ უნივერსიტეტის პერსონალი აქტიურად ჩაერთოს დაწესებულების განვითარებაში. მილან პოლმა აღნიშნა, რომ რადგან დაწესებულება წარმოადგენდა სასწავლო უნივერსიტეტს, მათი მხრიდან კვლევითი აქტივობის შეფასება დაეფუძნა კვლევითი მიმართულებით დაწესებულების განვითარების მზაობასა და პოტენციალს.

დაწესებულების რექტორმა, თეონა ხუფენიამ განაცხადა, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება დაეყრდნო SWOT ანალიზის შედეგებს, რომელიც ზუსტად ასახავდა დაწესებულების სუსტ მხარეებს. შესაბამისად, სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა და მოიცავდა დაწესებულების განვითარების ეტაპებს და ეყრდნობა შესაბამის ფინანსურ რესურსს.

რაც შეეხება დაწესებულების შიგნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის გამიჯვნის საკითხს, დაწესებულების მხრიდან აღინიშნა, რომ მომავალი 3 წლის განმავლობაში გაგრძელდება ინსტიტუციური პროექტების განვითარება. შესაბამისად, რექტორის განცხადებით, უმჯობესი იქნებოდა, თუკი აღნიშნული დეპარტამენტი

შენარჩუნდება ამჟამინდელი სახით. დამატებით კი განმარტეს, რომ 3 წლის შემდეგ, დაწესებულება გაითვალისწინებდა ექსპერტთა რეკომენდაციას და გამიჯნავდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს ერთმანეთისგან.

საბჭოს სხდომაზე ექსპერტებმა განმარტეს, რომ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, ის ფაქტი, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა კონკურსი ფაკულტეტის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალის პოზიციაზე კანდიდატის შესარჩევად, დაწესებულების მხრიდან აღინიშნა, რომ ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია მათი მხრიდან უკვე შესრულებული იყო.

კვლევითი მიმართულების განვითარების საკითხთან დაკავშირებით რექტორმა განმარტა, რომ დაწესებულებამ დაიწყო სწავლისა და კვლევის ინტეგრაციის პროცესი, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილია კვლევის კომპონენტი რეფერატის, ესეს, საბაკალავრო ნაშრომის სახით. რექტორმა აღნიშნა, რომ რაც შეეხება აკადემიური პერსონალის კვლევით აქტივობას, მნიშვნელოვანია ითქვას, რომ დაწესებულებისთვის პრიორიტეტს წარმოადგენდა კვლევის ხარისხი, შესაბამისად, 2016 წელს პლაგიატის შემთხვევების გამოვლენის შედეგად, დროებით შეჩერდა მკვლევართა ნაშრომების კრებულის გამოცემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პლაგიატის აღმოსაფხვრელად დაწესებულებამ არაერთი ღონისძიება გაატარა. ასევე, მნიშვნელოვნად გაიზარდა აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის რაოდენობა.
რაც შეეხება საერთაშორისო ბაზებზე წვდომას, დაწესებულებამ დაიწყო აღნიშნული ბაზების დანერგვა და მისი გამოყენების მხარდაჭერა, როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტთა დონეზე.

დაწესებულების წარმომადგენლებმა ისაუბრეს, სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვის პროცესზე, რომელიც ახლა მიმდინარეობდა. რექტორის განმარტებით, მისი გამოყენება კიდევ უფრო გაამარტივებდა და მოქნილს გახდიდა სასწავლო პროცესს.

ექსპერტებმა განაცხადეს, რომ კვლევითი მიმართულების განხილვისას ხაზგასასმელი იყო, რომ დაწესებულება წარმოადგენდა სასწავლო უნივერსიტეტს, შესაბამისად, მოთხოვნების ცვლილებების შედეგად, დაწესებულებამ დაიწყო კვლევითი აქტივობა და სწორედ ამ კუთხით შეფასდა დაწესებულება ექსპერტთა მხრიდან. ასევე, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ვიზიტის დროს დადასტურდა დაწესებულების მზაობა და ჩართულობა სხვადასხვა კომპონენტში განვითარების მიმართულებით. ხაზგასასმელია, დაწესებულების მიერ კვლევითი მიმართულების მნიშვნელოვნად დაფინანსების საკითხი, რაც ექსპერტების აზრით, აკადემიურ პერსონალს მისცემდა შესაძლებლობას ჩაერთოს საერთაშორისო კვლევებში, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში. ასევე, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში დაინერგა შეფასების კრიტერიუმები აკადემიური სტანდარტების დადგენის კუთხით. ამასთანავე, საბჭოს სხდომაზე დაწესებულების მხრიდან აღინიშნა, რომ უნივერსიტეტმა დაიწყო აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა სამეცნიერო ხელმძღვანელობის ჭრილში, რისი გამოყენებაც როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო დონეზე დადასტურდა ვიზიტის დროს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების კვლევითი აქტივობის ძირითადი მიმართულებებით.

დაწესებულების რექტორის განცხადებით, კვლევები ხორციელდებოდა სხვადასხვა მიმართულებით, როგორც ჰუმანიტარული, ასევე ბიზნეს ადმინისტრირების განხრით. საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, დაწესებულების მიერ გამოცემული შრომების კრებულში მოცემულია სტატიები სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად: ჯანდაცვა, ფარმაცია, სამართალი, კომპიუტერული მეცნიერებები და ა.შ. შესაბამისად, არ არის გამოკვეთილი დაწესებულების ძირითადი კვლევითი პრიორიტეტები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების მიმდინარე კვლევითი პროექტებით. თეონა ხუფენიას განმარტებით, ამ ეტაპზე დაწესებულებაში არ ხორციელდება კვლევითი პროექტი, თუმცა, რამდენიმე პროექტი დაფინანსების მოპოვების მიზნით წარდგენილია საგრანტო კონკურსზე.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა დაწესებულების მისიით. მისი განცხადებით, ის დარგები, რომელსაც ახორციელებდა დაწესებულება, არ იყო საკმარისი მისიის მისაღწევად, კერძოდ, იმისთვის, რომ *„..... ზეგავლენა მოახდინოს საზოგადების, ბიზნესის, სახელმწიფოს განვითარებასა და კეთილდღეობაზე“.*

დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულებაში ამჟამად ხორციელდებოდა არამხოლოდ აკადემიური, არამედ პროფესიული პროგრამები. კერძოდ, ზუგდიდსა და სენაკში მიმდინარეობდა 35 მიმართულების პროფესიული პროგრამა, რომელიც შესაბამისობაში მოდიოდა დაწესებულების მისიასთან.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე, დაინტერესდა დაწესებულებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემითა და ამ მიმართულებით დასაქმებული თანამშრომელთა რაოდენობით.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, კანონის შესაბამისად, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა, როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. საუნივერსიტეტო სამსახურში დასაქმებულია 2 სპეციალისტი, ხოლო საფაკულტეტო დონეზე, კი ერთი. რექტორის თქმით, ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყველა უნივერსიტეტის ყველა სამსახურის დებულებაში გაწერილია ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც ავალდებულებს ყველა სამსახურს სხვადასხვა დონეზე ითანამშრომლოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ამასთანავე, საავტორიზაციო პერიოდში რექტორის ბრძანებით ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ექსპერტთა რეკომენდაციით კურსების რაოდენობისა და საკონტაქტო საათების შემცირებასთან დაკავშირებით, რაც, ექსპერტთა აზრით, იწვევს სტუდენტთა მხრიდან ლექციებზე დაუსწრებლობას.

ექსპერტთა განცხადებით, დაწესებულებაში მაღალია სტუდენტთა დასაქმების დონე, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებაში დაგეგმილი მიმდინარე სასწავლო პროცესი ხელს უწყობდეს სტუდენტებს სწავლისა და მუშაობის ერთმანეთთან შეთავსებაში. შესაბამისად, მათი აზრით, სასურველი იყო საკონტაქტო საათების შემცირება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების საბიბლიოთეკო რესურსით.

ექსპერტთა განმარტებით, დაწესებულების ბიბლიოთეკა ინფრასტრუქტურული მიმართულებით მოწესრიგებული იყო, სილაბუსებში გაწერილი წიგნები წარმოდგენილი იყო ბიბლიოთეკაში, თუმცა, ბიბლიოთეკაში არსებული უცხოური სამეცნიერო მასალის ხვედრითი წილი არ იყო დამაკმაყოფილებელი. ამ მიმართულებით აღსანიშნავია დაფინანსება, რომელიც გამოყოფილია საბიბლიოთეკო რესურსის გაზრდისა და გამდიდრების მიზნით. ბიბლიოთეკა გაერთიანებული იყო კონსორციუმში, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას განახლებული წიგნები ელექტრონული ვერსიით არსებობდეს დაწესებულებაში.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებითა და შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობის არსებობით.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულებაში ისწავლება ქიმია, შესაბამისად. წარმოდგენილია ქიმიისა და ფარმაციის ლაბორატორიები, რომელიც სრულად არის აღჭურვილი. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების ფინანსური მდგომარეობით. ექსპერტთა განმარტებით, დაწესებულების ფინანსური რესურსი შეესაბამება სტრატეგიული გეგმით გაწერილ მიზნებს. ექსპერტთა აზრით, დაწესებულებისთვის მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯი იყო სამეცნიერო მიმართულებით ფინანსური რესურსის გაზრდა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ იმსჯელა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახულ გარემოებებზე, ასევე გაანალიზა დაწესებულების მიერ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილი პოზიცია. შესაბამისად, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული შეფასებები.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 1 000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის. მე-6 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) 6 წლით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 000-ით.
დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 1 წელი.

2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციური დურულმა. ექსპერტმა საბჭოს წევრებს მოახსენა მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია, პერსონალის პირადი საქმეები დაკომპლექტდეს დაწესებულების მიერ პირადი საქმის მიმართ წაყენებული მოთხოვნების მიხედვით;
- სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებულ მემორანდუმებში დაკონკრეტდეს საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე არსებული სტუდენტების რაოდენობით. დაწესებულების რექტორის განმარტებით, ამ ეტაპზე დაწესებულებაში სწავლობდა დაახლოებით 550-მდე სტუდენტი.

ექსპერტთა განცხადებით, ორივე ობიექტზე, ზუგდიდსა და სენაკში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით დაწესებულებას ექნებოდა 538 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იზიარებდნენ ექსპერტების მოსაზრებებს და გაითვალისწინებდნენ მათ მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭოზე მოწვეული პროფესიული განათლების ექსპერტი, შორენა ხუბუნაია დაინტერესდა პრაქტიკის ობიექტებთან დაწესებულების თანამშრომლობით. ექსპერტთა განმარტებით, დაწესებულების მხრიდან პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული იყო ხელშეკრულებები. ვიზიტისას კი, დადასტურდა მათთან აქტიური თანამშრომლობა.

შესვენება გამოცხადდა 19:53 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 20: 07 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 538-ით განსაზღვრის საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის, 25-ე მუხლის 4[1] და მე-5 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 538-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 21:20 საათზე.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი